№ 13
პარასკევი, 31 იანვარი 1897 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 13
პარასკევი, 31 იანვარი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227.

## „ივერია“
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.
ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 21 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 დ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათშეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

გამოვიდა დ ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი წიგნი
**ბახტრიონი**
ისტორიული პოემა
ვაჟა-ფშაველასი.
(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).
შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)
ფასი ერთი აბაზი,
უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.
ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва І. Имедашвили и С. Челидзе.
(5—1)

### მთავრობის განკარგულებანი.

—

კავკასიის მთავარ-მართებლის საყოველთაო ბრძანება. კავკასიის საარქეოლოგიო კომისიის დროებითი წევრი, მთავარ-მმართებლის საგანგებო საქმეთა V კლასის მოხელე, ეგერ-მეისტერი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარისა, კოლეჟსკი სოვეტნიკი თავ. მელიქოვი განთავისუფლებულ იქმნა ხსენებულ კომისიის დროებით წევრობის თანამდებობისაგან და იმის ადგილას, დროებით წევრადვე დაინიშნა გვარდიის ქვეითი ჯარის პოდპორუჩიკი თავადი სვიატოპოლკ მირსკი.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გაზეთებში აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რუსეთის სახელოვანი მწერლის ა. ს. პუშკინის სახელობაზედ დავაარსოთ ყრმათათვის თავშესაფარი და სკოლაო. ეს აზრი მით უფრო სამართლიანია, რომ გამოჩენილმა მწერალმა კარგა ძალი ხანი დაჰყო ჩვენს ქვეყანაშიაც და თავისი საუკეთესო ლექსებიც აქ დასწერა... ამ საქმის მეთაურებს განძრახვა აქვთ 9-ს თებერვალს პოეტის სახსოვრად ახალს თეატრში გაჰმართონ სალიტერატურო და სამუსიკო დილა, რისთვისაც თეატრის დირექტორს ბ-ნ პ. ა. ოპოჩინინს უკვე დაუთმია თეატრის დარბაზი.

*** დღეს სახელმწიფო ბანკის კასსაში $678\frac{1}{2}$ მილლიონის ოქროა. რაც ინგლისს, ავსტრიას, გერმანიას და იტალიას ერთად ოქრო აქვთ შენახული იმაზე $7\frac{1}{2}$ მილლიონი მეტი აქვს რუსეთსაო.

*** იმპერატორი ავსტრ-უნგრეთისა ფრანც იოსიფი აპირობს თურმე პეტერბურგში მიბძანებას. ამაზედ დიდი ხანია ჰლაპარაკობენ, მაგრამ გულდაჯერებით არა. ეხლა პეტერბურგში ნამდვილი ამბავი მისულა, რომ 27 აპრილს იგი აპირობს იქ მიბძანებას. თან ახლდება საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი გოლუხოვსკი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი პაარი და ორი ფლიგელ-ადიუტანტი.

*** იმპერატორის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში დაიწყებენ ლექციების კითხვას შესახებ ჭირისა და ერთობ ბაკტერიოლოგიისას. წამკითხველად მოწვეულნი არიან პროფესსორი სკორიჩენკო და ბოტკინი.

*** სახელმწიფო ქაღალდთა მკეთებელი ექსპედიცია წელს შეუდგება, გაზეთის „ლუჩ“-ის სიტყვით, ახალსახის ათ-თუმნიანების ბეჭდვას.

*** გზათა სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი მასზე, რომ, რაკი ადგილები დაიცლება, რკინის გზის სადგურთა უფროსებისა, ეს ადგილები ეძლეოდეს მარტო იმისთანა კაცებს, რომელთაც მიუღიათ სწავლა განათლება გიმნაზიების მეექვსე კლასის სწორი მაინცაო.

*** ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოში, გაზეთის „ლუჩ“ ის სიტყვით, გასინჯულ იქმნება პროექტი ახალის კანონისა, რომელიც შეეხება მიღებას და დათხოვნას რუსეთის ქვეშევრდომობისას.

*** დღეს ქალაქის საბჭო განიხილავს 1897 წ. ხარჯთ-აღრიცხვას და სხვა საქმეებს, რომელთა განხილვაც საბჭომ 27 იანვარს ვერ მოასწრო.

*** დერბენტში მევენახეობის და მეღვინეობის სასწავლებლის დაარსება განუზრახავთ.

*** შინა საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს, გაზეთის „ლუჩ“-ის სიტყვით, წესად დაუდგენიათ, რომ „სსუდნი კასსები“ მოვალე იქმნებიან რაც დაგირავებულ ნივთების გაყიდვისაგან მეტი ფული შეუვათ, შეიტანონ ან ხაზინაში, ან სახელმწიფო, ან სხვა საზოგადო საკრედიტო დაწესებულებაში. ამ გზით, დამგირავებელს ნივთებისას მფარველობა დიდი მიეცემა, რომ ნამეტანი ნივთების გაყიდვისაგან არ დაეკარგებათ.

*** 29 იანვარს, შუადღის ორს საათზედ, რუსეთის გამოჩენილი პოეტის ა. ს. პუშკინის სიკვდილის 60 წლის შესრულების გამო ნიკოლოოზის სამხედრო საკრებულო ტაძარში გარდაიხადეს პანაშვიდი პოეტის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის ოლქის მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. პ. გაკკელი, ოლქის ინსპექტორი ლ. გ. ლოპატინსკი და სხვა სამხედრო და სამოქალაქო ნაწილების წარმომადგენელნი; დაესწრნენ აგრეთვე ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენელნი, პირველი საქალებო გიმნაზიის მოსწავლენი და დიდ-ძალი ხალხი.

*** უკვე უწყებულია, რომ რუსეთში, ზოგიერთს ადგილების გარდა, სასმელების გაყიდვა თვით სახელმწიფომ იკისრა. გაზეთი „Лучъ“-ი ამბობს, რომ 1900 წელს ეგ წესი ყველგან მთელს იმპერიაში შეტანილ იქმნებაო. კვლავ კავკასიაში სახელმწიფო დაიწყებს სასმელების გაყიდვასაო.

*** ელექტრო-ტეხნიკს პარფენოვს მოუგონია იმისთანა ტელეფონი, რომ 3—4 ვერსტზე ალაპარაკებს ადამიანს ერთმანეთთანაო ხმა მაღლა და კარგადო.

სად. დალ-მამეტლი. 29 იანვარს ღამის 3 საათზედ, საქონლის მატარებლები № 46 და 47 ერთმანეთს დაეჯახნენ და რამდენიმე ვაგონი დაიმტვრ.

*** ახალ-სენაკი. ჩვენის დაუვიწყარის მწყემსთ-მთავრის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიცვალების წლის თავზედ, კვირას, 26 იანვარს, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ახალსენაკის წმ.გიორგის ეკკლესიაში ადგილობრივ ბლაღოჩინის მღ. მ. არისტარხოს კალანდარაშვილისაგან. პანაშვიდს ბლომად დაესწრო ახალ-სენაკის საზოგადოება. მგალობელთა ხორო ქართულად ჰგალობდა.

*** ს. ნორიო (ტფილის მაზრაშია) ჩვენს სოფელში საქონლის ჭირი გაჩნდა და ამ იანვრის უკანასკნელს დღეებში 15 საქონელი გამხდარა ავად, რომელთაგან სამი უკვე მომკვდარა.

*** სოფ. ნატოჩაო. (სენაკის მაზრა): იანვარი მშვენიერის ამინდებით დაგვიდგა, 25-მდე საკმაოდ თბილი და საამური დღეებიც იდგა, მაგრამ 25-კი საკმაოდ ჩამოთოვა მთები და ბარშიაც მალე მოველით. ამ იანვარში აქეთ საზოგადოდ ძალიან გახშირდა ადამიანის სიკვდილი. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, თბილი ზამთარია, სილარიბე და სხვა-და-სხვა სენის სიმრავლე. ხალხს ფული არა აქვს, რომ წამლები იყიდოს და ავადმყოფისათვის ექიმი მოიწვიოს.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს ბაქოდგან ატყობინებენ, რომ 27 იანვარს იქ ლიანოზოვის ნავთის სამრეწველოს ცეცხლი წაჰკიდებია და ლიანოზოვის გარდა, დაუზარალებია ძმ. მირზოევნი, არაფელოვი, ადამოვი, ანტონოვი, როდშილდი და ნობელი ცეცხლი ჩაუქრიათ. ზარალი თურმე დიდია, თუმცა ჯერ არ იციან რამდენია.

*** „ტფილ. ლის.“-ს სოფ. ხიდისთავიდგან (გორის მაზრაშია) ატყობინებენ, რომ შარშანდელ წყალდიდობამ სარწყავი არხები ძლიერ დააზიანა, იმის შესაკეთებლად მაშინვე ფულები მოაგროვეს და ინჟინერ-გიდრავლიკის რჩევით, ხაზინაში შეიტანესო. კორრესპონდენტი ჰკითხულობს: რა მიზეზია, რომ არხების შეკეთებას ჯერაც ხელს არავინ ჰკიდებს, რა-კი ფულის მხრივ ამ საქმეს დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს რაო?

*** როგორც „ჩერნ. ვესტ.“ გვაუწყებს, ყაშგარისა და ბუხარიდან ბათუმში 235 მაჰმადიანი მისულა სალოცავად წასასვლელად, მაგრამ იქ შეუჩერებიათ უმაღლესის მთავრობისაგან განკარგულების მიღებამდე.

*** სწავლა-განათლების სამინისტროს მიუწერია მზრუნველთათვის, რომ საშუალო სასწავლებლებში შეგირდების ჟურნალი გამოიცესო.

*** იუსტიციის სამინისტრო კვლავ შეუდგება ახალის სამოქალაქო კანონების შედგენასაო.

*** რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას, როგორც გაზეთს „Прав. вест.“-ში ვკითხულობთ, 21 იანვარს გარდაუწყვეტია, რომ ტფილისში, კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან, დააარსოს სააგენტო და მეფუტკრეთა საზოგადოების განყოფილება.

*** 12 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორად ნამყოფ ბ ნ მილიუტინისა და მისის თანამშრომელის ილ. ბახტაძის საქმეს, რომელთაც უჩივის ნაფიცის ვექილის თანაშემწე ბ-ნი გ. გვაზავა, რომ გაზეთით შეურაცხება მომაყენესო.

*** როგორც გაზეთს „ტფ. ფურ.“-ში ვკითხულობთ, 22 იანვარს, კავკასიის აქეთა მხრის დედათა ინსტიტუტში ქუნთრუშით ავად გამხდარა ოთხი მოსწავლე ქალი.

*** ხელ-მოკლე აზნაურიშვილის ოჯახის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ უცნობის ქალისაგან ერთი მანეთი. წინად მიღებულთან ერთად შესდგა სულ ორი მანეთი.

### თეატრის მატიანე

ბენეფისი ქ-ნ ბ. აკალიშვილისა

„**გოშა ქალი ზანდა**“, დრამა 4 მოქმედებად გენგოფერისა და ბრონზინერისა, თარგმანი ნ. გალუსტოვისა.

ოთხშაბათს, 29 იანვარს, წარმოდგენილი პიესა „ზანდა“, რომლის შინაარსის გადმოცემასაც საჭიროდ არა ვსთვლით, ჩვეულებრივი, საზოგადო სახის ფრანგული მელოდრამა გახლდათ, რუმინიის საერო კაბაჯუბით მორთული და მოკაზმული. ამ პიესაში ყველაფერია, რაც ჩვეულებრივ მელოდრამის კუთვნილებას შეადგენს: რამდენიმე სიყვარული, ეროვნული სამწუხარო მუსიკა, საწამლავი, შემთხვევითი სიკვდილი ლოტარისა, სასამართლოში წარმოე-

ბა საქმისა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სიტყვანი ბრალმდებელისა და ვექილისა, რევოლვერის სროლა და სხვანი. ორს მწერალს ყოველ ამისათვის თავი მოუყრიათ პიესაში, რომ მრავალის მოულოდნელობითა და პიესის არაკის ათასის ხვლანჯ-ნასკვით დაიმორჩილონ მსმენელ-მაყურებელის ყურადღება, ეფექტებით აავსონ, და ამ სურვილს იქამდის გაუტაცნია, რომ ყოველივე კუდ-მოკვეცილია ამ პიესაში, უცაბედი, უეცარი, შემთხვევის ნაყოფი და არა ერთი რომელიმე რთული მოვლენა ცხოვრებისა, ერთი უმთავრესი გარემოება, თავიდგან ბოლომდე მიმპყრობელი ადამიანის ყურადღებისა, თავიდგან ბოლომდე მიუხ-მოუხვევლად გატარებულ-დამთავრებული.

ასეთი პიესები ჩვენს რეპერტუარში რამდენიმეა და იმათ შორის ლიტერატურულ ღირსებით ყველას ისევე ეს პიესა ჩამოუვარდება. პიესაში რამდენიმე წარჩინებული როლია, რომელთა შორის პირველი ადგილები უნდა დაეთმოს ბოშა ქალს ზანდას, კუზიანს ოლესკუს, სახელმწიფო ბრალ-მდებელს,—იონელს და ბარბუს, ბოშა მემუსიკეს. დანარჩენი როლები აღნიშვნის ღირსნი არ არიან. ზანდას როლს, ამ მშვენიერის, ტრფობის ცეცხლის აღმგზნებ და თავისი სიტურფის ყველას დამმონავებელ ბოშას ქალისას, ასრულებდა თვით მობენეფისე ქ-ნი ავალიშვილისა; ოლესკუს როლს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, იონელისას—ბ-ნი მარჯანიშვილი და ბარბუსას—ბ-ნი კ. ყიფიანი.

ქართველ არტისტთა პირველი ნაკლი, თითქოს ქუდბედად დაყოლილი, როლების უცოდინარობაა. ჩვენი არტისტები მთელს სეზონში სულ სამს თუ ოთხს ახალს პიესას ძლივს გვაღირსებენ ხოლმე და მაშინაც როლის დასწავლასაც არა სცდილობენ. მაგალითებრ, გუშინ ზანდას როლის აღმასრულებელს, რომელიც გარეგნობით არაფრითა ჰგავდა მშვენიერს, ნორჩს, ტურფა ბოშა ქალს, უბრალო ოთხ-ტაეპოვანი ლექსის დასწავლისათვისაც-კი არ შეეწუხებინა თავი და ისეთის ენის დაბმით და აბნევით სთქვა ეს ლექსი, რომ საზოგადოებამ ვერა გაიგო-რა. იონელი, ახალგაზდა მჭევრ-მეტყველი ვექილი, პოეტი, სასამართლოს წინ ისე გაჭირვებული იყო როლის უცოდინარობისა გამო, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ კინაღამ საქმის გარჩევა გადასდო, რომ ვექილისათვის როლის შესწავლის დრო მიეცა. ამ გვარად, ამ ორმა როლმა ისე ვერ იმოქმედა საზოგადოებაზედ, როგორც შეეძლო, უნაკლულოდ რომ ყოფილიყო შესრულებული.

ესევე ვერ ითქმის ოლესკუს და ბარბუს შესახებ. თუმცა ოლესკუს როლის აღმასრულებელიც ჰკოჭლობდა როლის ცოდნის მხრივ, მაგრამ ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა ჩვეულებრივის ხელოვნებითა და ნიჭით დაგვიყენა თვალ-წინ გაბოროტება სიყვარულით დაუკმაყოფილებელის კაცისა. ეტყობოდა, რომ დაჰფიქრებოდა თავისს როლს, სავსებით შეეგნო იგი და ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა გამოანგარიშებული ჰქონდა. ბ-ნმა ყიფიანმა დიდის გრძნობით ჩაატარა ბოშათა მემუსიკე ბარბუს როლი და მართლაც ასიამოვნა საზოგადოება. იმისს ხმათა ბგერაში გამოისმოდა ჭეშმარიტი მწუხარება ბედით უბედურის ადამიანისა, რომელსაც ჯერ საყვარელი ცოლი წაართვეს და ეხლა არა ნაკლებ საყვარელს ქალიშვილს აშორებდნენ.

რაც შეეხება ენას პიესისას, სწორედ უცნაური ენა მოისმოდა სცენიდგან. ძირი სიტყვებისა ქართული იყო და მათი დაბოლოვება ჩიქორთული. ენის მთარგმნელს, როგორც ეტყობა რუსულიდგან გადმოეღო ისეთის სინამდვილით, რომ ქართულს ქართულობა აღარ ემჩნეოდა, მაგალითად, „მიყვარს მთელის გულიდგან“ ან, „ცივი ლაპარაკი“-ო და სხვანი ისმოდა ყოველს წინადადებაში. ქართული ნათარგმნი პიესები საზოგადოდ ენის მხრივ სუსტნი არიან, მაგრამ ასეთი ცუდად ნათარგმნი პიესა ჩვენს სცენაზედ ჯერ არ დადგმულა. საკვირველია, ნუ თუ დრამატიული კომიტეტი ვერ მოახერხებს, რომ ერთი კაცი მიუჩინოს სცენაზედ წარმოსადგენ პიესებს და მისი ენა გააშალაშინებინოს, შეასწორებინოს?! ეს ისე ადვილად მოსახერხებელია, რომ ამ მხრივ ასეთის ღირს-მნიშვნელოვანის საქმის ასე უყურადღებოდ დატოვება დრამატიულ კომიტეტისაგან სწორედ საოცარია და შეუწყნარებელი.

საზოგადოება საკმაოდ ბევრი დაესწრო წარმოდგენას. პატივცემულს მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს. წარმოდგენა ნაშუაღამევის პირველს საათზედ გათავდა, თუმცა შეიძლებოდა 11 საათზედ გაეთავებინათ, დიდრონი ანტრაქტები რომ არა ყოფილიყო.

მანოელიძე

---

## რუსეთი

—

— გლეხთა დებულების განმხილველი საბჭო, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით არის შემდგარი, თებერვლის პირველ რიცხვებში შეუდგება მუშაობას. საბჭოს წევრებად დანიშნულნი არიან: მინისტრის ამხანაგნი, შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის მმართველი და საერობო განყოფილების მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი. ამათ გარდა, საბჭოში მიწვეულნი იქნებიან ოთხიოდე კაცი, რომელნის თავისის სამსახურის მეოხებით დაახლოვებით იცნობენ გლეხთა მდგომარეობას. შინაგან საქმეთა მინისტრი შეეკითხა გუბერნიის მმართველებს დებულების შესახებ და მათგან მიღებული პასუხები განხილვის დროს, რა თქმა უნდა, უფრო დიდს ყურადღებას მიიქცევს. ეს საგნები შეეხება უმთავრესად: ა) სასოფლო მმართველობის შესახებ საქმეებს; ბ) სოფლების მიერ ახალის წევრების მიღებას და დათხოვნას: გ) ოჯახის წევრთა გაყოფა-განაწილებას; დ) ობოლთა და უპატრონო მამულთა მზრუნველობას სოფლად; ე) სოფლის საზოგადოებრივს ქველ-მოქმედებას ვ) სასოფლო გარდასახადსა და თანხას ზ) მიწით სარგებლობას და ჱ) სანოტარიუსო ნაწილს. უფრო შესამჩნევი ადგილი გლეხთა დებულების გადასინჯვის დროს, რასაკვირველია, ექმნება გლეხთა მმართველობისა და მიწა მამულით სარგებლობის შესახებ საგნებს.

—.

— ამ დღეებში სხდომა ექნებავაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორის, ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით ახლად დანიშნულს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ის საქმე, რომ გაარჩიოს კითხვა ბაჟისაგან განთავისუფლდეს სასოფლო სამეურნეო მანქანები, რომელიც რუსეთში არა კეთდება და საზღვარ-გარეთიდგან, შემოაქვთ, და თუ ეს არ მოხერხდა, შეამციროს მაინც იგი.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე გარდაუწყვეტიათ, რომ ქალაქის გარე, განცალკევებული დაბაუბანნი შეუერთონ ქალაქებს და იმათ მკვიდრთ განსაკუთრებული გარდასახადი შეაწერონ ქალაქების სასარგებლოდ.

—✦—

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ოდესღაც მძლავრი ოსმალეთი, იმდენად მძლავრი, რომ მისის შიშით მთელი ევროპა ძრწოდა, ამ საუკუნეში იმდენად დასუსტდა, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ლამის სამუდამოდ სული დალიოს. ამ საუკუნის დამდეგს პირველად ბერძნებმა ამართეს დროშა ოსმალთა მონობისაგან თავის განსათავისუფლებლად და ამ საუკუნისვე დამლევს, შეიძლება, ბერძნებმავე მოუსპონ მას სიცოცხლე. მთელი ორი წელიწადი (1895—1896 წ.). ოსმალეთს სომხების მოძრაობა არ ასვენებდა. ეს მოძრაობა თავისის მეცადინეობით და ზოგიერთის სხვა სახელმწიფოს დახმარებით მან ასე თუ ისე შეაჩერა; იფიქრა, ახლა მაინც მოვისვენებო, მაგრამ ბერძნები სომხებზედ უფრო დაუცხრომელნი გამოდგნენ და ოსმალეთის საქმე ისე არივ-დარიეს, რომ მრავალი სახელმწიფო ეხლა უწინდელზედ არა ნაკლებ ოსმალეთის საგონებელსა და

---

# ფელეტონი

### ის მესამეა

ჰენრიხ სენკევიჩისა

სამუშაო სადგურში, სადაც მე და სვიატეცკი ვმუშაობდით და ვცხოვრობდით, ქირა ჯერ არ იყო მიცემული ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ორივეს ხუთის მანეთის მეტი არა გვქონდა, მეორეც ისა, რომ ქირის მიცემა ძალიან მძულს.

ამხანაგები ჩვენ მფლანგავებს გვეძახიან. მართალია, მე ფულის გადაყრა მირჩევნიან ქირის მიცემასა. რაც შეეხება ჩვენს სახლის პატრონს, უნდა გამოვტყდეთ, რომ ის არ იყო ბოროტი კაცი; ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენ ერთი საშუალება გვქონდა იმის დასამშვიდებლად.

როდესაც (ჩვეულებრივ ეს დილით მოხდება ხოლმე) შემოდის ჩვენთან ქირის გასახსენებლად, სვიატეცკი, რომელსაც იატაკზედა სძინავს, წამოჯდება ხოლმე ლოგინში და ეუბნევა სამარის ხმით:

— დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ! მესიზმრაო, რომ ვითომ მომკვდარიყავით.

— სახლის პატრონი (ცრუ-მორწმუნე ადამიანია და როგორც სჩანს, სიკვდილისა ძალიან ეშინიან) ამ სიტყვებზედ საშინლად შეკრთება-ხოლმე. შემდეგ სვიატეცკი გადაწვება ლეიბზედ პირ-აღმა, სჭიმავს ფეხებს, დაიკრეფს გულ ხელს და განაგრძობს: —მე თქვენ სწორეთ ასე გნახეთ: თეთრი ხელთათმანები და ლაქ-წასმული ჩექმები გეცვათ, საერთოდ-კი გამოცვლილი არ იყავით.

მეც ვუმატებ:

— მაგგვარი სიზმარი ყოველთვის არ ახდება ხოლმე. როგორც სჩანს, ამ „ყოველთვის“ სახლის პატრონი სასოწარკვეთილებაში შეჰყავს.

ბოლოს იმითი თავდება, რომ გაცეცხლდება, კარებს მიარახუნებს და გავარდება კარში. გულ-კეთილს ადამიანს მაინც ვერ მოუხერხებია ბოქაულის მოყვანა, თუმცა ისიც კია, რომ ბევრს ვერაფერს აგვიწერენ; შესაძლოა აგრეთვე, რომ სახლის პატრონი ჰფიქრობდეს, ამათ მაგიერ სხვა რომ დავაყენო, ვაი თუ უარესი დამმართოსო. ბოლოს ჩვენი იარაღიც დაჩლუნგდა. სახლის პატრონი სიკვდილს შეეჩვია. სვიატეცკის უნდოდა სამის სურათის დახატვა, რომლებსაც ერქმეოდათ: „მიცვალება“, „დასაფლავება“ და „გამოფხიზლება სალათას ძილისაგან.“

რასაკვირველია, სამსავე „სურათში ჩვენი სახლის პატრონი უნდა ყოფილიყო გამოსული.

ამ გვარი საგნები სვიატეცკის ხელობას შეადგენს; ის თითონვე ამბობს, რომ მე „მძოვრსა“ ვხატავო. შესაძლოა, რომ სწორედ ამ მიზეზით არავინა ჰყიდულობს იმისს სურათებს. ეს არის ეხლა პარიზის „სალონში“ გაჰგზავნა ორი „მძოვრი“. მეც გაგზავნილი მაქვს ჩემი „ურიები ვისლაზედ“ („სალონის“ კატალოგში-კი ნათქვამია: „ურიები ბაბილონის მდინარეებზედ“). ამის გამო მეცა და სვიატეცკიც მოუთმენლად მოველით სალონის საბჭოს გადაწყვეტილებას. რაღა თქმა უნდა, სვიატეცკი ძალიან კარგად ჰხედავს, რომ საქმე ცუდად წავა, რადგანაც საბჭო შესდგებოდა გამორჩეულ სულელებისაგან; ასეც რომ არ ყოფილიყო, სვიატეცკის სიტყვით, მე ვარ სულელი, ის არის სულელი, ჩვენი სურათები სისულელეა, და აბა იმათი დაჯილდოება ხომ მტკნარი სისულელე იქნებოდა.

რამდენი სისხლი გამიფუჭა ამ მხეცმა ერთის წლის განმავლობაში!..

სვიატეცკის დიდ პატივ-მოყვარეობად მიაჩნია, რომ სხვები იმას ზნეობრივ „მძოვრად“ სთვლიდნენ. უცხო ხალხს ისე უჩვენებს თავს, ვითომ დიდი ლოთი ადამიანი იყოს; სმით-კი სრულებით არა სვამს. გადაჰკრავს ორს-სამს ჰიქა არაყს და აქეთ-იქით იხედება, დამინახეს თუ არაო; თუ ამას დარწმუნებული არ არის, მაშინ წაჰკრავს ნიდაყვსვისმეს და ეკითხება ქვესკნელის ხმით:

— რა დაბლა დავეცი! არა?..

ჩვენ ვუპასუხებთ ხოლმე, რომ სულელი ხარო. მაინცა და მაინც მშვენიერი ბიჭია თავიდგან ბოლომდის.

ერთხელ გზა დავკარგეთ ზალცკამმერგუტის ტყეში Zell am See-ს მახლობლად...

ღამდებოდა და თავის გატეხა ძალიან ადვილი იყო, სვიატეცკი მობრუნდა და მეუბნება:

— ვლადეკ, შენ უფრო უნდა გაუფრთხილდე შენს თავს, ვიდრე მე, რადგანაც შენ უფრო მეტი ნიჭი გაქვს ჩემზედ. მე წინ წავალ, თუ სადმე გადავიჩეხე, შენ აქ მოიცადე დილამდის და მერე გზას როგორმე იპოვი.

— არა-მეთქი, ვუთხარი: წინ მე წავალ, მე უფრო კარგად ვხედავ.

სვიატეცკი თავისას არ იშლის.

— თუ ეხლა გადავრჩი, სულ ერთია, თხრილში სადმე ამომივა სული—მე ერთი ბოლო მაქვს.

ჩვენ ერთმანეთს ვეცილებოდით.

ამასობაში საშინლად დაბნელდა. ბოლოს ვარჩიეთ წილის ყრა.

სვიატეცკი გაგვიძღვა წინ, მივდივართ. ჯერ ბილიკი საკმარისად განიერი იყო, შემდეგ-კი უფრო-და-უფრო ვიწროვდებოდა, მარჯვნივ და მარცხნივ უძირო უფსკრულები იყო.

მთის ზურგი ვიწროვდებოდა, ქვის ნამტვრევები სცვიოდა ძირს.

— ცოცვით მივდივართ! ამბობდა სვიატეცკი.

მართლა-და სხვაფრივ სიარული შეუძლებელი იყო. ცოტა ხანს უკან აღმოჩნდა, რომ ცოცვაც აღარ შეიძლებოდა.

მთის ზურგი ცხენის ხერხემალზედ უფრო მეტად დავიწროვდა, სვიატეცკი ზედ შეჯდა, მეც იმის მაგალითს მივყევი და ორივენი ასე მივხოხავდით.

ცოტა ხნის შემდეგ მომესმა სვიატეცკის ხმა:

— ვლადეკ!

— რა იყო?

— მთის ზურგი თავდება.

— წინ რა მოსჩანს?

— არაფერი... უთუოდ უფსკრულია.

— აიღე ქვა და გადაისროლე. ყური დაუგდოთ.

სიბნელეში მესმოდა, სვიატეცკი როგორ აცაცუნებდა ხელებს ქვის საძებნელად, მერე სთქვა:

— ყური დაუგდე, ქვას ვისვრიო.

— ყურები ვაცქვიტეთ.

სიჩუმეა.

— გაიგე?

— ვერაფერი!

— თქმა არ უნდა, კარგად მოვეწყეთ!

— ქვა კიდევ გადაისროლე.

სვიატეცკიმ იპოვა მოზრდილი ქვა და გადისროლა.

სრული სიჩუმეა.

— უთუოდ უძიროაო! სთქვა სვიატეცკიმ.

— რა გაეწყობა დილამდის მოვიცადოთ.

ვისხედით ასე, სვიატეცკიმ კიდევ ორჯელ გადისროლა ქვა,—ტყუილია. გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე, ბოლოს მომესმა სვიატეცკის ხმა:

— ვლადეკ, არ ჩაგთვლიმოს! სიგარა ხომ არა გაქვს?

სიგარა გვქონია, მაგრამ წუმწუმაკი არა გვაქვს! სწორედ უბედურებაა ჩემის აზრით, ღამის პირველი საათი უნდა ყოფილიყო; ვინ იცის, ეგებ ნაკლებიც იყო.

წინწკლვა დაიწყო. გარშემო არა სჩანდა-რა.

მესმოდა, სისხლი როგორ მდინარეობდა ჩემს ძარღვებში, გულისცემა, ხომ გარკვევით ისმოდა.

ჯერ იმგვარი მდგომარეობა მართობდა, მერე-კი შემცივდა; საუბედუროდ, სვიატეცკიც ფილოსოფოსობას მოჰყვა:

— რა არის სიცოცხლე? სიცოც-

ფიქრში ჩააგდეს.

საქმე ის არის, რომ წარსულ წელს კუნძულ კრიტის მცხოვრებ ბერძნებმა დიდი აჯანყება ასტეხეს ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის გამო დიდი სისხლის ღვრაც მოხდა ბერძენთა და ოსმალთა შორის. ოსმალეთი მაშინ იმდენად გაჭირვებული იყო სომეხთა მოძრაობისა გამო, რომ რა ექმნა აღარ იცოდა. ამიტომ სხვა სახელმწიფოების რჩევით, კრიტს მრავალი რამ შეჰპირდა, ბევრი უფლება დაუთმო და ამით დააშოშმინა. გამოცდილი და ოსმალეთის პოლიტიკის კარგად მცოდნე კაცები მაშინვე ამბობდენ, რომ ეს დაშოშმინება დროებითია, ოსმალეთი თავის დაპირებულს არ შეასრულებს და კრიტელები იძულებული იქნებიან ისევ უკიდურესს საშუალებას მიჰმართონო. მართლაც, არ გაუვლია ერთს წელიწადს და კრიტელებს მოეწყინათ დაპირებულის რეფორმების ლოდინი და ისევ იარაღს მიჰმართეს. დღე-დღეზედ ცნობები მოდის, რომ ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომი და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ბერძნები აჯანყებას ხელს უწყობენო. რა თქმა უნდა, ამ საქმეში თვით საბერძნეთის სახელმწიფოც დიდს მონაწილეობას იღებს და ცხადად თუ ნამალევად კრიტის მოჯანყეთ ყოველ გვარს დახმარებას უწევს. კონსტანტინეპოლიდგან მოსული გუშინდელი დეპეშა იუწყება, რომ აპოკორონელ მოჯანყეთ ჰალეპოს ახლოს საბერძნეთის დროშა გაუშლიათ და კრიტის საბერძნეთთან შეერთება გამოუცხადებიათ. ასეთი ამბავი კი წარმოუდგენელია, საბერძნეთის სურვილიც რომ არ ეთანხმებოდეს სხვათა განზრახვას.

ბერძნების პოლიტიკურს მოძრაობას ინგლისიც დიდად უწყობს ხელს. როგორც ვუწყით, ეგვიპტის საქმეთა გამო ინგლისსა და საფრანგეთს შორის დიდი განხეთქილებაა. ინგლისი მოწადინებულია, ეგვიპტე სამუდამოდ იგდოს ხელში, მაგრამ რადგან საფრანგეთისა ეშინია, ამიტომ მუდამ იმის ცდაშია, საფრანგეთს სხვაგან გაუჩინოს საქმე, რომ ამითი ისარგებლოს და ეგვიპტე სრულიად დაისაკუთროს. ოსმალეთზედ ერთნაირად უჭირავს თვალი, როგორც რუსეთს, ისე ავსტრო უნგრეთსა. ამიტომ, თუ ოსმალეთის აწეწილ საქმეებში ერთი რომელიმე იმ სახელმწიფოთაგანი ჩაერია, მაშინ, ცხადია, უთუოდ მეორეც ჩაერევა. ხოლო ამ გვარი ჩარევა ისე არ მოხდება, თუ ამისათვის რაიმე დიდი მიზეზი არ გაჩნდა. აი, სწორედ ასეთის მიზეზის გამოწვევა ჰსურს ინგლისს ოსმალეთში, რომ ოსმალეთის საქმეებში ავსტრი-უნგრეთი და რუსეთი გაახვიოს და მაშინ ხომ საფრანგეთიც, როგორც რუსეთის მოკავშირე, ხელ-ხეკრული იქნება. ამით ინგლისი ისარგებლებს, ეგვიპტის შესახებ თავისი სურვილი განახორციელოს და მეორეს მხრივ იმის იმედიც აქვს, რომ ოსმალეთის ბედი და იღბალი უიმისოდ მაინც არ გადაწყდება. საქმე ისე დაბოლოვდება თუ ასე, ამის შესახებ დღეს გადაჭრილი არა ითქმის-რა, ამბობენ გაზეთები. ხოლო ეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ ოსმალეთის დღენი დათვლილია, წუთი სოფელს ესალმება და ეს გამოსალმება რაც ადრე მოხდება, მით უფრო უმჯობესი იქნება.

—

**ინდოეთი.** ინდოეთს არა თუ შავი-ჭირი ავლებს მუსრს, იქ მძვინვარებს თურმე საშინელი სიმშილიც. აი რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „ლუჩ"-ი: „ათი-ათასობის დამშეული ხალხი დაძრწის დაბა-ქალაქებსა და სოფლებში... ინდოეთის ზოგიერთ ქალაქებში მართლაც რომ გმირული თავ-განწირულება გამოიჩინეს ქრისტიანებმა, რომელნიც არავითარს ღონისძიებას არა ჰზოგამენ, რომ მცირედიც არის შემწეობა აღმოუჩინონ ასეთ ორ-ცეცხლშუა მომწყვდეულ ხალხს. ყოველის მხრიდგან გაისმის საყვედური, რომ ინგლისის მთავრობამ სრულიად უკანონოდ გაფლანგა ის ფონდები, რომელნიც ინდოეთში სიმშილობის დროსთვის ინახებოდაო. უხვი შეწირულება, რომელიც ყოვლის მხრიდგან მოსდის სიმშილობასთან საბრძოლველად შემდგარ კომიტეტებს დამშეულ ხალხის დასახმარებლად, მხოლოდ ზღვაში ერთი წვეთის გადაგდებაა და მეტი არაფერი. საქმის ასე გამწვავების მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ ბრიტანიის მთავრობამ თავის დროზედ არ იღონა საშუალებანი პურის შემოსატანადო... თვით ლონდონში ამ დღეებში აპირებენ საწინააღმდეგო მიტინგების გამართვას. სხვათა შორის სოციალ-დემოკრატების კრება იქნება, რომელზედაც ორატორები: ირლანდიელი მიტჩელ დევიტტი და პარლამენტის წევრად ნამყოფი დადობაინაოროჯი წარმოსთქვამენ სიტყვას."

---

## სასამართლოს მატიანე

დარჩო არუთინოვისა და თავ. ვასილ და გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილებისა და გიორგი ტატიშვილის საქმე.

ეს საქმე, როგორც ეხსომებათ მკითხველებს, 16 იანვარს გაარჩია ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლემ და ორივე მხარის თხოვნით გადასდო ახალ მოწმეთა დასაბარებლად. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დარჩო არუთინოვი, „სამტრედო"-ს სასტუმროს პატრონი, უჩიოდა თავ. ვასილ და გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილებსა და გიორგი ტატიშვილს, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის არჩევანების დროს იმათ ჩემს სასტუმროში კენჭოსნები დააყენეს, დამპირდნენ იმათის შენახვის ფასის გარდახდას და არაფერი არ გარდამიხადესო, და სთხოვდა სასამართლოს, ოცი თუმანი გარდაახდევინეთ ჩემს სასარგებლოდაო.

ხელ-მეორედ, თუ ხელ-მესამედ, მომრიგებელ-მოსამართლემ ეს საქმე განიხილა გუშინ-წინ, სამშაბათს, 28 იანვარს. დაბარებული იყო ხუთი მოწამე, დარჩო არუთინოვის მხრივ: სიმონ ბაბაევი, ზაქარია ჩაგუნაძე და მიხეილ ოჰანესოვი, მოპასუხეთა მხრივ: აზნ. ილია ვასილის ძე ყიფიანი და თავ. იოსებ რევაზის ძე თარხან-მოურავი.

სიმ. ბაბაევი თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილები და გიორგი ტატიშვილი მოვიდნენ არუთინოვთან და დაიჭირავეს ნომრები სადილ-ვახშმით კენჭოსან აზნაურებისათვის. გიორგი ტატიშვილიც იქვე იყო, აზნაურებთან, და თავ. ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილიც. თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს-კი ნომრებში არ ეძინა ღამე. სამს დღეს სცხოვრობდნენ. მე არუთინოვის მოსამსახურე ვარ. უკანასკნელს დღეს ღვინო არ მივუტანეთ და ჩხუბი გამართეს. მოსამსახურეებსა სცემეს და არუთინოვს და ერთმანეთშიაც შეკინკლავდნენ. 15 სკამი დაამტვრიეს, ათი ფანჯრის მინა, ბოთლები, თეფშები, სარკე და ხალიჩები ხანჯლებით დაჰკუწეს. პოლიციამ ოქმი შეადგინა და ზარალის ფასი თხუთმეტ თუმნად იანგარიშა. თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს პირველადა ვხედავ. ჩემთან შეჰპირდნენ, ფულს ჩვენ გარდავიხდითო.

მეორე მოწმემ გიორგი ჩაგუნაძემ თითქმის იგივე აჩვენა.

მიხეილ ოჰანეზოვი. პირობა ისე იყო დადებული, რომ კაცის თავზედ თითო მანეთი უნდა გარდაეხადნათ და ოთხმოც-და-ათი აზნაური უნდა ყოფილიყო სულ. მაგათ-კი 120 აზნაური მოიყვანეს. ამ სამში (თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილებსა და ტატიშვილს) არც ერთს არ ვიცნობ. მე ეგენი იქ არ მინახავს. წერილი თავ. ივანე მაჩაბელთან მე წავიღე და შემპირდნენ, გარდაგიხდითო.

აზნ. ილია ყიფიანი. გიორგი ტატიშვილს ხევის ქუჩაზედ ეჭირა სახლი, ხოლო თავ. ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილი ოლგას ქუჩაზედ სდგას კნეინა ანნა წერეთლისას.

ესევე აჩვენა თავ. იოსებ თარხან-მოურავმა. ეს ორი ჩვენება იმის დასამტკიცებლად იყო ჩამორთმეული, რომ მოპასუხეთ ცალკე სადგომები ჰქონდათ და „სამტრედო"-ში რად გაატარებდნენ ღამესაო.

მომჩივანმა დარჩო არუთინოვმა სთხოვა მოსამართლეს, რომ რადგან საქმე საკმაოდ გამოირკვა და აშკარაა, მე ვიზარალე, გთხოვთ გარდაახდევინოთ ჩემ სასარგებლოდ ოცი თუმანიო. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ თავ. ივანე მაჩაბელს წერილი გავუგზავნე და ფულსა ვთხოვდი, მაგისი მიზეზი ის არის, რომ როცა მირიგდებოდნენ, ყველა იმას

---

ხლე საძაგლობაა. ამბობენ: ხელოვნება, ხელოვნება! ეშმაკმა წაიღოს მეცა და ეს ხელოვნებაც... სწორედ „გამოჯავრებაა" ბუნებისა! მეტი არაფერი... ნამდვილი ხელოვნება არ არის ქვეყანაზედ... არის მხოლოდ ბუნება. შესაძლოა, ბუნება რამედ ღირდეს. მაგრამ მე, თუ მკითხავთ, ბუნებაც საძაგლობაა... ყველაზედ კარგი იქნებოდა ამ კლდიდგან გადახტომა... მაშინ ყველაფერს ბოლო მოეღებოდა. მე გადავხტებოდი კიდეც, არაყი რომ მქონდეს, მაგრამ, რადგანაც არაყი არა მაქვს, ამას არა ვიქ.

მე დიდი ხანია შევეჩვიე სვიატეცკის უბედობას, მაგრამ სიჩუმესა და სიბნელეში იმის სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაღონა. საბედნიეროდ, სვიატეცკიმ თავისი უბედობა გაათავა, ორჯელ კიდევ გადისროლა ქვა და ორჯელვე განიმეორა: „არა ისმის-რა!".— ორი საათი გაჩუმებული ვისხედით.

ჩემის აზრით, მალე უნდა გათენებულიყო; უცბად მომესმა ჩხავილი და ფრთების შრიალი.

ჯერ კიდევ ბნელოდა, ვერაფერს ვარჩევდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ნამდვილად არწივები დაგვტრიალებდნენ თავს. „ყვა! ყვა"! მოგვესმა სიბნელეში. რაც მოხდეს— მოხდეს. ეს გათენების ნიშანი მაინც იყო. მართლა-და მალე გავარჩიე ჩემი ხელები, შემდეგ სვიატეცკის ზურგი დავინახე. აცივდა.

უფრო და უფრო თენდებოდა.

— ფუ! სულელები ვართო! მომესმა სვიატეცკის ყვირილი.

— სვიატეცკი-მეთქი! შევძახე, რასა შვრები?

— ნუ ჩხავი, დააცქერდი.

დივილუნე ვაცქერდები—რაღაც გამოჩნდა. თურმე ქვების გროვაზედ ვზივართ ორის ადლის სიმაღლეზედ. ხავსი გვიშლიდა ქვის ხმის გაგონებას; შორს მოჩანს გზა და გზაზედ ყვავები, რომლებიც ჩვენ არწივებად მივიღეთ. საკმარისი იყო ფეხები ჩამოგვეშალა და თავისუფლად წავსულიყავით სახლისკენ.

ასე გავატარეთ მთელი ღამე ქვებზედ კბილების ძაგძაგით... მე თითონ არ ვიცი, რაზედ მომაგონდა ეს შემთხვევა ეხლა, როდესაც მე და სვიატეცკი მოველოდით ჩვენს სახლის პატრონს.

— ამ მოგონებამ იმდენი სიმხნევე მომიმატა, რომ სვიატეცკის ვუთხარი.

— გახსოვს, ანტეკ, ჩვენ როგორ ვისხედით კლდეზედ მთელი ღამე, ბოლოს-კი გამოვიდა, რომ ჩვენს წინ სწორე გზა ყოფილიყო... შესაძლოა, ეხლაც ისე იყოს. ჩვენ ეკკლესიის ვირ-თაგვებივით ვართ საწყლები, სახლის პატრონს ჩვენი გაძევება ჰსურს... შესაძლოა, ყველაფერი ეს გამოიცვალოს. ვინ იცის, ეგებ სახელისა და საზითლარი ლითონის ბოლაზი გაგვეხსნას.

ამ დროს სვიატეცკი ლეიბზედ იჯდა და ჩექმებს იცვამდა, თან ბუტბუტებდა: „სიცოცხლე მხოლოდ ჩექმების ჩაცმასა და გახდაშიაო; ჭკვიანი ის არის, ვინც თავის ჩამორჩობას გაჰბედავსო; თუ აქამდის ვერ გავბედე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სულელზედ სულელი, უფრო მეტიც მშიშარაა.

ჩემი სამხიარულო ფიქრები გამაწყვეტინა.

— რასაკვირველია, შენ გაქვს მიზეზი მხიარულებისა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მოხუცმა სუსლოვსკიმ გამოგვაძევა თავისის სახლიდგან და თავისის ქალის გულიდგან. დღეს კიდევ ჩვენი სახლის პატრონი გიჩვენებს კარებს.

— ვაი ჩემს თავს! სვიატეცკი მართალს ამბობს. სამის დღის წინად მე გახლდით საქმრო კაზია სუსლოვსკის ასულისა. ეხლა კი სამშაბათის დილიდან... დიახ! სწორედ სამშაბათს მივიღე იმის მამისაგან შემდეგი წერილი:

„პატივცემულო პან მაგურსკი!

„ჩვენი ქალი ემორჩილება თავისს დედ-მამას და უარს აცხადებს იმ კავშირზედ, რომელიც უბედურების მეტს არას უქადის. ჩვენს ქალს ყოველთვის შეეძლო ადგილი ეპოვნა თავისს დედ-მამასთან, მაგრამ მოვალეობა გვაიძულებს დავიფაროთ ამ გაჭირვებისაგან. არა თქვენი ქონებრივი მდგომარეობა, არამედ თქვენი სუბუქი ხასიათი გვაძიულებს ჩვენ და ჩვენს ქალს დაგიბრუნოთ მოცემული სიტყვა და მოვსპოთ ჩვენს შორის ყოველი დამოკიდებულება. ეს არ გვიშლის ვისურვოთ თქვენთვინ ყოველი სიკეთე".

„გელიოდორ სუსლოვსკი, გაუქმებულ საფინანსო კამისიის ნაუფროსალი ც. პ.".

ეს გახლდათ შინაარსი იმ წერილისა.

მე კაზი ძალიან მიყვარს და უარის მიღების შემდეგ ერთი დღე მკვდარსავით დავდიოდი. მხოლოდ მეორე დღეს, ისიც საღამოჟამს, ცოტა მომეშვა, როდესაც ჩემს თავს მევე ვუთხარი: არ უნდიხართ! და ნუ უნდიხართ! ამ უბედურების ატანა უფრო იმან მიშველა, რომ იმ დროს გართული ვიყავი ჩემის „ურიებით" და „სალონით". მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სურათი ისე ცუდი არ იყო, როგორც სვიატეცკი ჰფიქრობდა. იმის ხატვას შევუდექი ერთის წლის წინად. რაც უფრო მეტსა ვფიქრობდი სურათზედ, მით უფრო გულიდგან მეყრებოდა დარდი კაზის დაკარგვისა. იმ დროს, როდესაც სვიატეცკიმ წერილი მომაგონა, მე ისე მივიჩნიე, როგორც ძველი ამბავი, ვინ იცის, ეს როდის მოხდა მეთქი. სვიატეცკიმ მეორე ჩექმაც ჩაიცვა და მე-კი სამოვარს დავუწყე დადგმა.

შემოვიდა ბებერი ანტონინა ბულკებით (სვიატეცკი ერთი წელიწადია რაც ურჩევს ამ ბებერს თავის ჩამოხრჩობას), ჩვენ ჩაის შემოვუსხედით.

რას გაუხარებიხარო? გაჯავრებით მეკითხება სვიატეცკი.

— რა ვიცი!... შენ ჰნახავ, რომ ჩვენ მოულოდნელი რაღაც მოგველის.

ამ დროს კიბეზედ ვილაცის ფეხის ხმა მოისმა.

— სახლის პატრონია! ეგეც შენი მოულოდნელი ამბავი, სთქვა სვიატეცკიმ.

ცხელი ჩაი ყელზედ დაადგა, სამუშაო ოთახში დაიმალა და იქიდგან მიყვირის:

— შენ ძალიან უყვარხარ, შენ მოელაპარაკე!

— ის შენ თაყვანს-გცემს-მეთქი, ვეუბნები და მეც მივრბივარ დასამალავად.

ამდროს გაიღო კარები და შემოდის... ვინა? თქვენ გგონიათ ჩვენი სახლის პატრონი? შემოდის სუსლოვსკის მოსამსახურე.

ჩვენ გამოვჩნდით.

— თქვენთან წერილი გახლავსო, სთქვა მოსამსახურემ. წერილი გამოვართვი... გერმესსა ვფიცავ, კაზის წერილიც წავიკითხე:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ მშობლები გვაპატიებენ. ეხლავ მოდით, ადრიანობას ნუ მოერიდებით. ეს არის ახლა დავბრუნდით წყლებიდგან. კ."

რამდენისამე წამის შემდეგ წერილი გადავეცი სვიატეცკის და მოსამსახურეს მოუბრუნდი.

— ძმობილო! მოახსენე, გიახლებით-თქო... მოიცა!.. წვრილი ფული არა მაქვს, აი ეს უკანასკნელი სამი მანეთი, დაახურდავე, ერთი მანეთი შენთვის აიღე, დანარჩენი უკან დამიბრუნე.

ამ საზიზღარმა ადამიანმა წაიღო ჩემი უკანასკნელი სამი მანეთი და გადაიკარგა. კარგად იცოდა მხეცმა, რომ ამის გამო ალიაქოთს ვერ მოვახდენდი სუსლოვსკის სახლში.

— ჰნახე? ვეკითხები სვიატეცკის.

— რა ვუყოთ! ყველა ხზო თავისს ყასაბს ჰპოულობს.

მე ვეჩქარებოდი და ამიტომ ვერ მოვახერხე, რომ შესაფერი პასუხი მიმეცა სვიატეცკისათვის.

(შემდეგი იქნება)

ამბობდა, თავ. მაჩაბლის ხარჯითა ვართო.

თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის ვექილმა ბ-ნმა გრუზენბერგმა სთქვა, რომ რადგან სიტყვიერი პირობა დამტკიცებული არ არის ღმრთისმსახურთა ნათქვამი ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო, გთხოვთ უარი უთხრათ დარჩო არუთინოვს და მასვე შეაწეროთ სასამართლოს და საქმის საწარმოებელი ხარჯიო.

მომრიგებელ-მოსამართლემ გუშინწინ ოთხშაბათს, 29 იანვარს, შემდეგი გარდაწყვეტილება გამოაცხადა: დარჩო არუთინოვის საჩივარი არ იქმნას შეწყნარებულიო.

## დამაკვირდი

(ვეისი)

ნურც ქებას გაეტაცნებით, ნურც ძაგებას შეუშინდებით. გახსოვდეთ, რომ არ არის არც ერთი იმისთანა საქმე, რომელსაც მაქებარი და მძაგებელი არა ჰყავდეს. პატიოსანი კაცი კარგს აქებს, სულელი—უკეთესს და ზნე-წამხდარი იმას, რაც ავი და ბოროტია.

***

აუჩქარებელი იყავ მოფიქრებაში, სწრაფი და მალი საქმის კეთებაში, ლბილი და სასიამოვნო ქცევაში და მაგარი და უკან დაუხევედი, როცა გინდა მიაღწიო რასმე.

***

ნურც გადააჭარბებ, ნურც მოაკლებ—აი პირველი ნიშანი სიფრთხილისა და კეთილ-გონიერებისა.

***

ნუ აჰყვებით პირველ გამარჯვებას, ნურც შეუშინდებით პირველ დამარცხებას.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

დიდი ხანია ხმა დადის, რომ ვითომც ერთი რაღაც საოცარი ცხოველია ზღვისა, რომელიც უშველებელ გველსა ჰგავს და ეს ამბავი ზოგსა სჯერა და ზოგს არა. იმისთანა უტყუარი საბუთი არავის წარმოუდგენია, რომ ყველასათვის დასაჯერი ყოფილიყო არსებობა ამ საზარელის და მართლა დაუჯერებელის სულიერისა. აი ეხლაც ისლანდიის ახლოს მეგემეებს უნახავთ ზღვის გველი რაღაც ნაირ განსაკუთრებულ სახისა. იგი ზღვაში უნახავთ სწრაფად მცურავი, ასე რომ საათში თითქმის ოც-და-ათს ვერსტს მიდისო და როცა სცურავს, უკან ისეთს კვალსა სტოვებს თურმე, თითქოს საპნის ქაფიაო. ოც-და-ათი საჟენი თურმე სიგძე აქვს და თავი წყლიდამ ამოშვერილი აქვს სამს საჟენზე. ეს საოცარი მცურავი მწვანე ფერისაა.

გაზეთი, რომელიც ამას გვაუწყებს, ამბობს, რომ ფრთხილად უნდა მოექცეს კაცი ამისთანა ამბებსაო, მით უფრო, რომ არც ერთს სწავლულს ბუნების-მეტყველს ჯერ არსად შეხვედრია ზღვის გველიო.

(პ. ი. ლ.)

***

ოჯახში, საცა ნამეტნავად ბაშვები არიან, დიდი მნიშვნელობა აქვს რძეს, ვითარცა საზრდოს. ხოლო რძე სნეულის ძროხისა დიდად მავნებელია, ხშირად ძროხის სენს ადამიანსაც შეჰყრის ხოლმე. გარდა ამისა თუნდა კარგი და სალი რძეც იყოს, მალე აიჭრება და ფუჭდება. რომ არც ერთი მოხდეს და არც მეორე, აი რა საშუალებას გვირჩევენ. ჭურჭლის დუქანში იყიდეთ შუშის ბოთლები პატარები კი ასე, რომ ერთი ორიოდე ჭიქა ჩადიოდეს. ბოთლს უსათუოდ ვიწრო ყელი უნდა ჰქონდეს. ამ ნაირ ბოთლში ჩაასხით ახალი რძე ისე, რომ ყელი ნახევრამდე მოჰყაროს; დაუცევით კაუჩუკის პრობკა, შუა-გულზე ჩახვრეტილი. ამისთანა პროპკას აფთიაქში იშოვნით. იქვე აფთიაქში გამოართვით მინის ჩხირი იმ სისქისა, რომ ჩახვრეტილს პროპკაში ჩაჯდეს მჭიდროდ, როცა დაცმა დასჭირდება. აგრე მომზადებული ბოთლები შიგ რძით ჩასდგით ან ტაშტში, ან ქვაბში, მდუღარე წყლით სავსეში, რომელიც ცეცხლზედ უნდა იდგეს. ხუთი წუთი ადუღეთ წყალი, რომელშიაც ბოთლები სდგას. მას შემდეგ დაუცევით მინის ჩხირი, ერთი ორმოცი წუთი კიდევ დააცადეთ ბოთლებს ადუღებულ წყალში, მერე გააცივეთ. აგრე მომზადებულ რძეს აღარაფრის შიში აქვს არც სენის გადადებისა, არც აჭრისა და გაფუჭებისა. თითქმის მთელი ერთი თთვე შეინახება ამგვარად რძე, არც დამჟავდება და არც ევნება რამ. (ს. ხ.)

***

წელს ყველგან უჩივიან თაგვებს და ვირთაგვებს,—ლამის ამოგვაგდონო. ამ საძაგელ ცხოველის თავიდამ ასაცილებლად ზოგი რასა ჰხმარობს, ზოგი რასა. უფრო ხშირად სწამლავენ ხოლმე, მაგრამ ამ რაგად გაწყვეტა მათი საშიშია: მოწამლული თაგვი ვინ იცის სად არ მოკვდება ოთახში სოროში სადმე და ჰაერს აფუჭებს მისი მძოვრი. ყველაზე უკეთესი და უებარი წამალი-კი ხელთა ჰქონია ადამიანს და არ სცოდნია. ეგ წამალი ერთ ნაირი ბალახია, რომელსაც ლათინურად ჰქვიან Cynoglossum officinale და რომელიც ყოველს აფთიაქში იყიდება გირვანქა რამდენიმე კაპეიკად. ეს ბალახი მიფანტ-მოფანტეთ იქ, საიდამაც გეგულებათ რომ თაგვი შემოდის. თუ სადმე გამოუთხრიათ შესავალი, ამ ბალახით დაუცევით. თაგვი იმავე დღეს წავა და დაიკარგება, რაკი ამ ბალახის სუნი მიედინებაო. (ბ. ზ.)

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

შარშან მარტში ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ განცხადებულის ფონდის სასარგებლოდ თბილელ ქალთა შორის მეშეკაგროვე ხელის-მოწერით 54 მანათი. ხუთი თუმანი ბ-ნ კალ. გუნიას ხელით კაახლე ბ-ნს კონსტანტინე ბაქრაძეს ქუთაისში ფონდში შესატანად და ოთხი მანათი „ივერიის“ რედაქციას გადმოეცე ბაქრაძისავე გადასაცემად. ამასთან შემომწირველთა სიაც იყო წარმოდგენილი.*) გთხოვთ ეს გარემოება გამოაცხადოთ შემომწირველთა საცნობლად, რადგან „ივერიის“ შეჩენებისა გამო შემომწირველთ სია ვერ დაიბეჭდა.

ეკ. გაბაშვილისა.

*) რედაქცია თავისს მოვალეობადა სთვლის განაცხადოს, რომ პატივცემულმა ქ-ნმა ეკ. გაბაშვილისამ, მართალია, წარმოადგინა ოთხი მან. რედაქციაში განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდის სასარგებლოდ და ჩვენ ეს ფული ამავე ფონდის სასარგებლოდ მოსულ კიდევ 60 მან. ერთად, გადავეცით ჯერ კიდევ 25 თიბათვეს წარსულის 1896 წლისას „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“.

რედ.

## დეპეშა

28 იანვარი

**ჰამბურგი.** ბრბომ, რომელიც უმეტეს ნაწილად მცირე წლოვანთაგან შესდგებოდა, ღამის 9 საათზედ საშინელი უწესოება მოახდინა ბაზარში. პოლიციელებმა მრავალი კაცი დაატყვევეს. რამდენიმე კაცი დაიჭრა კიდეც. შუაღამისას ბაზრის მახლობელ ქუჩებში ხელ-ახლად მოხდა უწესოება. ამ დროს სამი პოლიციელი და რამდენიმე მოქალაქე მძიმედ დაიჭრა. ერთს ქუჩაზედ ხალხმა დაალეწა გაზის ფარნები. ფანჯრებიდგან ცხელს წყალს ასხამდნენ პოლიციელებს, ბოთლებსა და ქვებს ესროდნენ. პოლიციელებმა უკან დაიწიეს, მაგრამ მალე განახლებულის ძალით დაბრუნდნენ და წესიერება აღადგინეს.

**ლონდონი.** გაზეთს „Times“-ს 26 იანვარს კანეიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქალაქი ამ ჟამად მხოლოდ მაჰმადიანებსა და ოსმალთა ჯარის კაცების ხელშიაო. ახლად დაარსებული ჟანდარმთა რაზმი ასეთს გარემოებაში ძნელად თუ რასმეს გააწყობს მშვიდობიანობის დასაცველადაო. კონსტანტინოპოლიდგან კრიტის მთავრობას ბრძანება მიუვიდა, რომ ინგლისის მაიორს ჟანდარმთა რაზმის დროებით უფროსად ნუ აღიარებთო.

**კონსტანტინოპოლი.** საკრებულო და გალატის ეკკლესიებში დემონსტრაციები მოახდინეს მსოფლიო პატრიარქის წინააღმდეგ.

30 იანვარი

**პეტერბურგი.** გენერალ-მაიორი ონოფრიენკო ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ იქმნა დანიშნული.

**ტაშკენტი.** ის ხმა, რომ ყანდაგარში შავი ჭირი გაჩნდაო, არა მართლდება. ეს ხმა უთუოდ შეცდომით იყო გავრცელებული.

**პარიზი.** ფორმა დაათვალიერა პასტერის ინსტიტუტი. დოქტორმა რუმ განუმარტა როგორა მზადდებოდა შავი ჭირის საწინააღმდეგოდ გამოგონილი შედედებული სისხლი. ამასთანავე სთქვა, რომ შავი ჭირის მიკრობი ნიადაგში იკიდებს ფესვს და სანამ ადამიანს გადაედებოდეს, როგორც ჰფიქრობენ, ცხოველებზე გადადისო. ყველა სხვა მიკრობთა შორის შავი ჭირის მიკრობი ადვილად დასაძლევიაო. ინდოეთში შავის ჭირის გავრცელების მიზეზი უმთავრესად მკვიდრთა უსუფთაობაა; ამიტომ ვინიცობაა, ჩვენდა-მოულოდნელად შავი ჭირი ევროპაში შემოვიდა, ძლიერ არ უნდა გვეშინოდეს მისი; რაკი ვითარება ხელს არ შეუწყობს, ეს სენი ვერ გავრცელდება და უეჭველია ჩქარა მოისპობაო.

**კონსტანტინეპოლი.** კრიტიდგან ამბავი მოვიდა, რომ ღამით ქრისტიანენი და მაჰმადიანნი ერთმანეთს შეებრძოლნენო; დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

დესპანთ ცირკულიარი მიუვადათ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტისაგან, რომელშიაც იცნობებიან, რომ თუ ოსმალეთის წეს-წყობილებაში არაფერი ცვლილება არ იქმნა შემოღებულნი, კომიტეტი იძულებულ იქმნება სიტყვიდგან საქმეზედ გადავიდესო.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის ჯავშნიანმა გემმა „გიდრამ“ კანეიის მიდამოებში საომარი იარაღები და ტყვია-წამალი მიიტანა.

**კანეია.** არაფერი ცვლილება არა მომხდარა-რა. აქ მშვიდობიანობაა. ყველა ის, რომელთაც გემებს შეაფარეს თავი, ნაპირას დაბრუნდნენ. ოსმალთა მოხელეთ, ისე იქცევიან, რომ საყვედური არა ეთქმით-რა. შიშს ჰბადებს საბერძნეთის გემების მოქმედება, რომელსაც აჯანყებულებთან კავშირსა სწამობენ.


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანათათ, ხოლო გაგზავნით 8 მანათ. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანათ. სამის თვით გაუგზავნელად 2 მანათ., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამშაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში—არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიმართონ ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბეჟანიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათომში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ. მიქაბერიძეს.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კოხრეიძეს.—მიხაილოვკაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიონეთში: ივ. ჩიბალაიშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს.—ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

რედაქციისაგან.

ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ახალ წლისათვის, ხელის მოწერის წინათ, ჰპირდებიან გამოცემის გაუმჯობესებას გარეგნივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი აღსრულება სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ჩვენ ვაუწყებთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას მართლაც წრეულს დაუგვიანდება პრემიის დარიგება, მაგრამ ყოველ ღონისძიებას იხმარს პირ-ნათლად გამოვიდეს ხელის-მომწერლებთ წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პროგრამის გაფართოებაზე უკვე დართულია ნება ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა სრული, ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მზგავსად, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭირ-ბოროტო კარამზედაც.

წელსაც ყველა თანამშრომლებმა აღგვითქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება გარეგნივ გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისამებრ აქცევს ყურადღებას: ჩვენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ლონდონიდან, პეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გვაქვს შტუტგარდიდან, ხოლო ტფილისში შეუძლებელია ხეირიანი ნახატების დაბეჭდვა, რადგან ჩვენი ცხოვრების მცოდნე მხატვრები თითქმის არა გვყავს და ლიტოგრაფიასაც ხშირად უფუჭდება სურათები.

მომავალ 1897 წ. „კვალის“ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების,—აღწერით.)

(3—3)

1897

# „მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

გამოვა იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან

ხელ.ის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

**წიგნის მაღაზიებს**, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური**, ხოლო თუ ფულს ნაწილ ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

**შენიშვნა.** 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქმნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ **ფულის მიღების კვიტანცია** გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

**ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესა:** *Тифлисъ, Редакція* **Моамбе“.**

(5—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Января 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.